გილოცავთ ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო.
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

კვირა, 1 იანვარი, 1989 წელი ● № 1 (3081) ● ВОСКРЕСЕНЬЕ, 1 ЯНВАРЯ 1989 г.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

22 ДЕКАБРЯ состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.

На заседании с информацией «О бюджете министерства внутренних дел Грузинской ССР на 1989 год и плане промышленного производства и капитального строительства МВД ГССР на 1989 год» выступил начальник ФПО подполковник внутренней службы И. Гугунава.

«О состоянии работы по обеспечению режима секретности и конспирации в органах внутренних дел Грузинской ССР и о мерах по их дальнейшему совершенствованию» членов коллегии проинформировал начальник секретариата полковник внутренней службы И. Барский.

На заседании также были заслушаны информации начальника оргинспекторского отдела подполковника милиции К. Буджнашвили «Об утверждении плана основных организационных мероприятий МВД ГССР на 1989 год и плана работы коллегии на I полугодие 1989 года», «Об утверждении плана основных комплексных мероприятий МВД ГССР на 1989-1990 годы по выполнению постановлений партии и правительства, направленных против пьянства и алкоголизма».

Коллегия утвердила тов. М. Дарчия ректором Института общественного мнения при министерстве и ввела его в состав коллегии МВД ГССР.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სისტემაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ", საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების მე-6 მუხლში, ახალი რედაქციით დაწესებულია:

„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის" საპატიო წოდება.

## ჩემი სამშობლო

ამ ახალ წელს ჩემს სამშობლოს განახლებულს ვხედავ.
სიყვარულმა ამამღერა ლექსის წერას ვბედავ.
მესმის შენი მაჯისცემა, შენი მშვიდი სუნთქვა,
შენი წინსვლა და დიდება მე ყოველთვის მსურდა.
მერე რა, რომ მე ჭაღარა გამერია თმაში,
დრო და ჟამი რას დამაკლებს კვლავ გიდგევარ მხარში.
მე თუ ვიწვი შენთვის ვიწვი, სინათლე რომ ნახო,
მხოლოდ შენთვის ავენთები, ოღონდ გაიხარო.
მე თუ ვხარობ შენით ვხარობ, მათბობს შენი სხივი,
სხვა სიცოცხლე რაღად მინდა, ან სიმდიდრე სხვისი.
მაშ, დაუკარ, გამაგონეთ მშობლიური ჰანგი,
ერთგულების ნიავი ქრის, მოიშორეთ დარდი.
მზის სხივები შემოუშვით, ჩამოხსენით ფარდა,
ღმერთმა ნაღდად აგისრულოთ ახალი წლის ნატვრა,
დაგებედოთ აღმასვლა და სიხარული სულში,
დაე, მუდამ ბინადრობდეს სიყვარული გულში.
მამულისთვის შრომის ოფლი ნამად მოგეფინოთ,
შრომა-გარჯის მოყვარულებს ტკბილად მოგელხინოთ,
მზის სხივებით დაფერილი დილა გქონდეთ მშვიდი,
გეშენოთ და არ დაგენგრეთ მეგობრობის ხიდი.
შრიალებდეს თქვენი ბაღი, ცვარით დანამული,
თვალსა და გულსახარებდეს ვაზი დახუნძლული,
მუდამ გქონდეთ ძმობა, ნდობა და ურყევი რწმენა,
ოჯახებში სიხარული და აკვნების რწევა.
მტკიცე ფუძე გქონებოდეთ და მშვიდობა ქვეყნად,
გული მივცეთ გულისათვის, მუდამ ვიყოთ ერთად.

ლ. ჟოჟუა,
ქ. ფოთის პროფესიული სახანძრო რაზმის უფროსი.



## НОВОГОДНИЕ ПОЗДРАВЛЕНИЯ

### МИНИСТРАМ ВНУТРЕННИХ ДЕЛ АВТОНОМНЫХ РЕСПУБЛИК, НАЧАЛЬНИКАМ УВД, СЛУЖБ, ОРГАНОВ И ПОДРАЗДЕЛЕНИЙ, НАЧАЛЬНИКАМ ПОЛИТОТДЕЛОВ, ПОЛИТЧАСТЕЙ, ЗАМПОЛИТАМ

ОТ ИМЕНИ коллегии, политического отдела, партийного комитета министерства внутренних дел Грузинской ССР сердечно поздравляем Вас и весь личный состав с Новым 1989 годом.

В Новом году перед органами и подразделениями внутренних дел республики стоят ответственные задачи по искоренению преступности, охране общественного порядка, улучшению взаимодействия с общественностью и трудовыми коллективами.

Поздравляя Вас с праздником, выражаем уверенность в том, что весь личный состав системы МВД ГССР, руководствуясь решениями XXVII съезда КПСС, XXVII съезда Компартии Грузии, XIX Всесоюзной партийной конференции, будет совершенствовать свою работу, оберегать конституционные права и интересы советских граждан, надежно обеспечивать сохранность социалистической собственности.

Желаем Вам и Вашим семьям крепкого здоровья, благополучия, успехов в труде, учебе, счастья в личной жизни.

КОЛЛЕГИЯ, ПОЛИТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ, ПАРТИЙНЫЙ КОМИТЕТ МВД ГССР.

### МИНИСТРУ МВД ГССР ГОРГОДЗЕ Ш. В. НАЧАЛЬНИКУ ПОЛИТОТДЕЛА АНКВАБУ А. З.

УВАЖАЕМЫЕ товарищи! Поздравляем вас и всех сотрудников органов внутренних дел братской Грузии с наступающим Новым годом. Выражаем сердечную благодарность сотрудникам милиции вашей республики, обеспечившим передвижение в Армянскую ССР сводной колонны автомобилей органов внутренних дел Украины. Глубоко тронуты заботой, проявленной руководством органов внутренних дел республики о нашем сводном отряде, осуществляющем охрану порядка в городе Ленинакане.

Ваша помощь — еще одно свидетельство лучших качеств грузинского народа и нашей нерушимой дружбы.

От всей души желаем доброго здоровья, радости, счастья, дальнейших успехов в труде на благо Родины.

МИНИСТР ВНУТРЕННИХ ДЕЛ УССР
И. ГЛАДУШ.
НАЧАЛЬНИК ПОЛИТУПРАВЛЕНИЯ МВД УССР
А. БОРОВИК.

50 წელი კანონიერების სადარაჯოზე

# კიდევ მრავალ წელს!...



**გულახდილად** ვიტყვით, რომ როდესაც ამ მასალის დაწერა გადავწყვიტეთ რაღაც უხერხულობა ვიგრძენით... მიზეზი ამისა გახლდათ არა ის, რომ სათქმელი არაფერი გვქონდა, პირიქით (და ეს ჩვენი გაზეთის მკითხველმაც კარგად იცის), მიზეზი გახლდათ ის დიდი პატივისცემა და აქედან გამომდინარე ის პასუხისმგებლობა, როგორც თვითონ ვარლამ ივანეს ძის ავევე, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზისადმი და ასე განსაჯეთ ჩვენი „მებრძოლი გუშაგის" მკითხველთა წინაშეც, როდესაც ისეთ პროფესიონალზე ვსაუბრობთ, როგორიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი, კომუნისტი ვარლამ შადურია. ვიცოდით, რომ არ გაგვიჭირდებოდა მისი ბიოგრაფიიდან ბევრისმთქმელი ფაქტების „მოძებნა", მათი „ჟურნალისტურ ენაზე გაწყობა"... და მაინც გადავწყვიტეთ ამ დღეს, 28 დეკემბერს, ბატონი ვარლამ შადურის დაბადების 70 წელს, არ მიგვეძღვნა მისთვის „დიდი ნარკვევი" ცხოვრებისეული გზის (თუმც აქვე ისიც უნდა „ვაღიაროთ", რომ ნაწყვეტები რომანი-ქრონიკიდან „ნადირობა მგლებზე", რომლის გამოქვეყნება ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დავასრულეთ, სწორედ ამ დღისადმი იყო მიძღვნილი) და ამ გზაზე დამსახურებული ჯილდოების ჩამოთვლით, მით უმეტეს რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა სადღაც შინაგანად გვიკარნახა მისმა სადა, ვაჟკაცურმა, ჩეკისტურმა ბუნებამ და უდიდესმა გამოცდილებამ. სწორედ ამის დამადასტურებელი გახლდათ ის, რომ როდესაც რედაქციიდან ვარლამ ივანეს ძეს ვეწვიეთ მის სამუშაო კაბინეტში, მივულოცეთ ეს დღე და დავაპირეთ მისთვის სამუშაო ვითარებაში, ფორმით სურათის გადაღება, მან ამ მასალასთან ერთად გამოქვეყნებული სურათის დაბეჭდვა არჩია...

ვფიქრობთ ამ ღრმესი პატივისცემით, გულწრფელად ნათქვამ სიტყვებს არ გვიწყენს ბატონი ვარლამი და მიიღებს ჩვენი რედაქციის და გაზეთის მკითხველთა, ყველა თანამშრომლის მხედრულ მისალმებას, დაბადების დღის და საახალწლო კეთილ სურვილებს — ჯანმრთელობას და დიდ შრომისუნარიანობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

წერილი გვინდა გავაგრძელოთ სიტყვებით, რომელსაც ვკითხულობთ 28 დეკემბერს ვარლამ ივანეს ძისათვის გადაცემულ სამახსოვრო ადრესში.

**„საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება, პარტიული კომიტეტი გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილეს. არ შეიძლება არ განიცადო ღრმა პატივისცემა, როდესაც თვალს გადაავლებ იმ გზას, რომელიც თქვენ განვლეთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სკოლის კურსანტობიდან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეობამდე, სადაც უკვე 27 წელია მსახურობთ. მიუძღვენით რა მთელი თქვენი ცხოვრება კეთილშობილურ საქმეს — ემსახუროთ სამშობლოს და ხალხს, გაამდიდრეთ და გააღრმავეთ ჩეკისტების სახელოვანი ტრადიციები, მართლწესრიგის დამცველთა არაერთი სახელოვანი თაობა აღგიზრდიათ. შედეგი აქტიური, მოქალაქეობრივი პოზიციისა, ინიციატივისა, შემტევითობისა, სწრაფვა მოქმედების შუაგულში ყოფნისა, მუდამ იყო ის, რომ თქვენს წილზე მოვიდა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო გამოცდა. ამისთვის მუდამ საჭირო იყო პროფესიული თვისებები, მტკიცე, პარტიული რწმენა, პრინციპულობა, ვაჟკაცობა და დიდი ორგანიზატორული ნიჭი. ყველა ეს თვისება სრულად გამოამჟღავნეთ ყოველდღიურ საქმიანობაში.**

**პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასა თქვენი თავდადებული შრომა. ამის ნათელი დადასტურებაა — ლენინის, საბრძოლო დროშის, შრომის წითელი დროშის ორდენები და მთავრობის სხვა ჯილდოები.**

**თქვენ განვლეთ ცხოვრების მკაცრი სკოლა. მუდამ შეურიგებელი ხართ კანონის ყოველი დარღვევის მიმართ. მაგრამ სისასტიკე და უგულობა არ შეხებია თქვენს კაცთმოყვარე ბუნებას, არ შეცვლილა თქვენი ჰუმანურობა, მზადყოფნა ყოველთვის აღმოუჩინოთ დახმარება ადამიანს. სწორედ ამით დაიმსახურეთ ყველა ჩვენთაგანის ღრმა პატივისცემა.**

**ხალხში ამბობენ: ადამიანის არსი, მისი ბუნების განსახიერებაო. თქვენც ასევე ბროლივით გამჭვირვალე ჰაერთან ერთად შეისისხლხორცეთ დიადი ყაზბეგის ურყეობა და სიმტკიცე, რომლის მახლობლადაც აიდგით ფეხი.**

**ძვირფასო ვარლამ ივანეს ძევ! თქვენი დაბადების სახელოვანი 70 წლისთავის დღეს გისურვებთ ჯანმრთელობას, მთიელი კაცის დღეგრძელობას, თქვენი და თქვენი ახლობლების ბედნიერებას".**

ეს სამახსოვრო მას გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა შოთა გორგოძემ, რომელმაც სამინისტროს კოლეგიის, პარტიული კომიტეტის წევრებთან ერთად კიდევ ერთხელ უსურვა კვლავინდებურად მწყობრში დგომა და ერთად მუშაობა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

პ. ანდრიაძე

ПО ЗАКОНАМ БРАТСТВА И МУЖЕСТВА

# НАСТРОЕНЫ НА ТРУД

**Стихийное бедствие, обрушившееся на северные районы Армении, оказалось самым разрушительным за последнее тысячелетие, в зоне находился 21 город и район или 40 процентов территории республики, где проживало более 960 тысяч человек.**

**В груду развалин превращен город Ленинакан, практически стерт с лица земли город Спитак, существенно пострадали города Кировакан, Степанаван и многие населенные пункты. Погибли десятки тысяч человек, среди которых немало детей. Без крова остались почти 514 тысяч человек, пострадало 365 сел, из которых 58 полностью разрушены.**

**Велик ущерб, причиненный народному хозяйству. Потеряно около 8 миллионов квадратных метров — 17 процентов жилого фонда республики, разрушены или находятся в аварийном состоянии почти половина школ и детских дошкольных учреждений, 110 больниц и поликлиник, 119 клубов и домов культуры этого региона. Перестали функционировать 157 промышленных предприятий и филиалов...**

**Огромны потери в сельском хозяйстве. Полностью или частично разрушены сельскохозяйственные постройки, погибло около 80 тысяч голов скота.**

**Фактически в указанных городах и 18 сельских районах Армении полностью была парализована вся производственная и социальная инфраструктура. В целом, в результате землетрясения ущерб составил около 8,5 миллиарда рублей.**

**Такова мрачная статистика стихийного бедствия, обрушившегося на Армению 7 декабря.**

**Трагическая весть с первых минут всколыхнула всю республику, страну, весь мир. Сразу же в районы бедствия для оказания помощи и участия в спасательных работах выехали тысячи жителей Армении и братских союзных республик, с их помощью только к 22 декабрю извлечено из-под завалов 39,5 тысяч человек, спасена жизнь 15,5 тысячам людей.**

**СТРАНА** направила в республику огромное количество технических средств для проведения спасательных и восстановительных работ. Большую безвозмездную помощь по поставкам техники, машин и механизмов оказывают все братские республики. Только из Грузии в Ленинакане и Спитаке работает свыше 830 единиц машин и строительной техники. Уже через несколько часов после землетрясения в Спитак первыми прибыли из Грузии экипажи машин АТП Д. Сабадзе, В. Кобиашвили, Г. Джамагидзе, Т. Рухадзе, Н. Хвадагиани и др.

Ныне в регионе ситуация входит в новую фазу, в восстановительных работах в зоне землетрясения задействованы строительные организации всех союзных республик. Их усилиями будет построено 4 миллиона квадратных метров жилья в Ленинакане, Кировакане, Спитаке, Степанаване и ряде районных центров.

Для оказания помощи в охране правопорядка в городе Спитак находится около 160 слушателей ТФМВШМ МВД СССР и специальный отряд в 120 человек из ОВД республики, которые расположились в районе города Степанавана. В прошлом номере нашей газеты мы вам рассказали о том, как устроились, как живут и работают наши сотрудники.

Но минуло уже более десяти дней со дня прибытия нашего отряда в Армению, и в канун Нового года я еще раз встретился с нашими сотрудниками и сделал этот предновогодний репортаж. Из-за сильного снегопада, обрушившегося на Армению 27 декабря, решил поехать поездом. Железнодорожная линия от Кировакана до Еревана, пострадавшая во время стихийного бедствия, уже налажена, поезда ходят, но она очень загружена в связи с тем, что помощь, прибывающая в районы бедствия со всех уголков Советского Союза, поступает в основном по железной дороге.

Поезд № 55 Ростов-Ереван прибыл на станцию Кировакан с опозданием почти на девять часов. Выходя из состава, я сразу же обратил внимание, как оперативно и быстро въехала на перрон пожарная машина. Поинтересовался, думаю, неужели где-то пожар, — подошел ближе к машине, вижу — пожарная машина станции Тбилиси - узловая. Водитель С. Миндели объяснил, что экипаж в составе пожарных В. Гамбашидзе и М. Тетрашвили находится здесь с 8 декабря и помогает заправлять воду в составы вагонов, а также снабжать водой Спитак.



Приехав в Степанаван, сразу же зашел в «палаточный» кабинет начальника ГРОВД майора милиции А. Гзраряна отметить командировочное удостоверение, но пришлось подождать, так как ежедневно в 9 утра у него проводится оперативное совещание совместно с комендантом города и руководителем специального отряда ОВД нашей республики подполковником внутренней службы О. Чахунашвили.



Закончилось совещание, и мы на одной из машин ППС едем в палаточный городок. Неузнаваемым стал он за минувшие пять дней: кругом огорожена, освещена территория, чистота, полевая кухня стала как стационарная, появилась и палатка с флагом Красного креста. С этого и начал рассказ руководитель отряда Отар Георгиевич:

— В воскресенье мы устроили субботник, благоустроили городок, очистили от мусора, провели свет во все палатки, у нас теперь есть даже дежурный электрик — милиционер Гульрипшского РОВД Г. Шония.

Вместе с врачом — хирургом из медотдела МВД ГССР Р. Оганезовым прошли по палаткам, проверили их санитарно - гигиеническое состояние, посмотрели, нет ли среди сотрудников больных.

— В основном обращаются чаще всего в медпункт из-за простудных заболеваний, — говорит Роланд Оганезов.

С первого же дня пребывания совместно с комендантом города и начальником ГРОВД разработаны маршруты постов нашего отряда, 3 экипажа несут службу круглосуточно, а остальные работают по 11 часов.

Организовано совместное несение службы нарядов отряда с ОВО ГРОВД Степанавана, а также патрулирование с целью обеспечения безопасности движения и сопровождение грузов. Здесь также находятся работники УР, БХСС, ППС, ГАИ, пожарные. У них организована работа совместно с коллегами из ГРОВД Степанавана.

Уже темнело, но в эти предновогодние дни в городе зажглись огни. У входа в городок появились автомашины с грузинскими номерными знаками. Огромный ЗИЛ привез новогодние подарки, которые прислали сотрудники органов внутренних дел республики. Все дружно вышли разгружать ящики с мандаринами, яблоками, компотами, конфетами, консервами, колбасой и другими новогодними подарками. Все это будет вручено 31 декабря сотрудникам.

Когда я уезжал из Степанавана, ребята вышли из своих палаток и в один голос просили, — передайте, пожалуйста, через вашу газету наши новогодние поздравления руководству, всем сотрудникам за внимание и заботу о нас, а также нашим близким и родным...

**Информацию о проделанной совместной работе на местах стихийного бедствия читайте в следующем номере нашей газеты.**

**А. МАЛАЯНЦ,**
**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ**
г. Степанаван.



**НА СНИМКАХ:** разрабатывается план совместных действий; готовится новогодний обед; новогодние дары из Хоби.

სწრაფად, ოპერატიულად

# ოქტომბრის ერთ შფოთიან ღამეს

11 ოქტომბერს გარდაბნის რ-ნის დიდი ლილოს შს ქვეგანყოფილების ოპერატიული შემადგენლობა, მორიგეები ჩვეულებრივ ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. 21 საათზე თბილისის საქარხნო რაიონის შს რაიგანყოფილებიდან შეგვატყობინეს, რომ ბოროტმოქმედმა დანის მუქარის ქვეშ თბილისის № 1 ასგ ტაქსის მძღოლს ფული წაართვა. ოპერატიული ჯგუფები ჯერ კიდევ არ იყვნენ გასული შემთხვევის ადგილზე, როდესაც თბილისის № 2 მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსაწარმოს მძღოლი ვარლამ კირაკოზოვი ქვეგანყოფილებაში მოვიდა და განაცხადა, რომ ბოროტმოქმედმა დანის მუქარის ქვეშ სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ფული წაართვა.

დრო აღარ ითმენდა. ნათელი იყო, რომ დამნაშავეს რომელმაც კირაკოზოვი გაძარცვა, შეიძლებოდა კვლავ ახალი დანაშაული ჩაედინა, საჭირო იყო პირველი დაზარალებული მძღოლის გალუსტოვის გამოკითხვა, ორივე დაზარალებულისაგან ბოროტმოქმედის სიტყვიერი პორტრეტის შედგენა, გამორიცხული არ იყო რომ, ორივე ტაქსის მძღოლი ერთი და იგივე ბოროტმოქმედს გაეძარცვა.

სასწრაფოდ შეიქმნა სამი ოპერატიული ჯგუფი. ოპერაციაში მონაწილეობა მიიღეს საქარხნო რაიგანყოფილების თანამშრომლებმაც. უფროსმა გამომძიებელმა, მილიციის კაპიტანმა ბ. ტრაპაიძემ დაკითხა მძღოლები. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ორივე მძღოლი ერთი და იგივე ბოროტმოქმედის მიერ იყო გაძარცული დაზარალებულების ალწერილობით ბოროტმოქმედი ფიზიკურად ძლიერი პიროვნება უნდა ყოფილიყო. იგი არაფხიზელ მდგომარეობაში დანით იყო შეიარაღებული.

ჯგუფების წევრები მოქმედებდნენ ენერგიულად, ოპერატიულად. ორმა ჯგუფმა სავარაუდო მარშრუტი დაადგინა და გადაკეტა, ხოლო მესამე ჯგუფი საქარხნო რაიონის ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინას „ეწვია". 11 ოქტომბერს დილის 7 საათზე ამ ბინაში ნაძარცვი ფულით შევიდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის ადრე ნასამართლევი თ. ს. რომელმაც გაბრძოლება სცადა, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა ამის უაზრობაში. ნაძარცვი ფული და დანა ამოღებული იქნა. თ. ს-მ ჩადენილი დანაშაული აღიარა.

დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი ოპერატიულობისათვის მადლობის ღირსი არიან ჩვენი თანამშრომლები სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული ჯ. ოშაყმაშვილი, საქარხნო რაიონის შს განყოფილების უბნის ინსპექტორები: ს. ბზიშვილი და გ. ჩხიტუნაძე, რიგითი მილიციელი გ. ჭეშმარიტაშვილი და სხვები.

ფ. კენკებაშვილი,
გარდაბნის რაიონის შს დიდი ლილოს ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

СОЦИАЛИСТУРИ

სოციალისტური შრომის გმირის წოდების დაწესების 50 წლისთავი

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და სამართლებრივი აღზრდის საქმეში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მილიციისა და საზოგადოების მოწინავე ადამიანების ერთობლივი ძალისხმევა.

ამ ფოტოზე აღბეჭდილი არიან ზუგდიდის შს საქალაქო განყოფილების საგამოცდო-სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე მილიციის კაპიტანი ა. ჯოლოგუა, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია, ზუგდიდის შს საქალაქო განყოფილების ერთ-ერთი დანაყოფის უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი კ. ჩერქეზია, ნორჩ „მილიციელებთან" ზ. ზუხბაიასთან და გ. სიხარულიძესთან.



გ. მგალობლიშვილის ფოტო.

# ПОПУТЧИКИ

В ДЕЯТЕЛЬНОСТИ транспортной милиции не так уж редки факты преступлений, раскрыть которые вначале кажется нет никакой перспективы.

...16 октября этого года в дежурную часть милиции на ст. Самтредиа обратился гражданин Г. Петросян, который заявил, что во время стоянки поезда два незнакомых лица украли его дипломат, в котором были 10.000 рублей, аккредитивы на сумму 6.000 рублей, и сумку с вещами.

Г. Петросян ехал поездом Москва - Ереван из города Краснодара. Деньги и аккредитивы, которые являлись собственностью бригады, он получил по доверенности и вез в Ереван. Когда поезд остановился на ст. Самтредиа, Г. Петросян оставил без присмотра свои вещи и вышел для покупки продуктов питания. Вернувшись в вагон после отправления поезда, обнаружил, что ни дипломата с деньгами, ни сумки не оказалось на месте, не было видно и попутчиков, которые должны были ехать до Эчмиадзина...

Расследование этого дела было поручено начальнику следственной группы капитану милиции Т. Чхаидзе и заместителю начальника ОУР старшему лейтенанту милиции Д. Джанелидзе, которые выехали в гор. Краснодар. Проведенная оперативно - розыскная работа дала свои результаты.

23 октября 1988 года, на седьмой день совершенного преступления, был задержан гр. С. С., 1960 года рождения, ранее судимый за хулиганство, проживающий в г. Краснодаре, у которого были изъяты аккредитивы на сумму 6.000 рублей, деньги в сумме 2.050 рублей. С. С. признался в совершенном им преступлении. Ведется работа для установления и задержания второго преступника.

М. ШЕНГЕЛИЯ,
зам. начальника по политчасти линотдела внутренних дел на ст. Самтредиа, старший лейтенант милиции.

# დაზარალებულებს დაუბრუნეს...

მიმდინარე წლის სექტემბეროქტომბერში ბათუმში გახშირდა ავტომანქანების ძარცვა. კერძოდ, იპარავდნენ მსუბუქი ავტომანქანების საქარე მინებს. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად აჭარის ასსრ შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა მილიციის კაპიტანმა ვ. დიასამიძემ, მილიციის უფროსმა ლეიტენანტებმა გ. ხოზრევანიძემ და ხ. ზანდაძემ, მილიციის ლეიტენანტმა თ. მირზოევმა დაადგინეს და დააკავეს ბოროტმოქმედები, რომელთაც ხელმძღვანელობდა ნ. კონცელიძე. მან რ. ლრთქიფანიძესთან და. რ. ლორთქიფანიძესთან ერთად 6 „ჟიგულის" წინა საქარე მინა (დაზარალებულებს დაუბრუნეს) მოიპარა და 200-300 მანეთად გაყიდა.





# ТАК ДЕРЖАТЬ, СОСО!

СЕРЬЕЗНАЯ теоретическая подготовка и навыки, получаемые во время практики в ОВД, позволяют многим слушателям ТФМВШМ МВД СССР уже сейчас, до получения диплома, грамотно и оперативно действовать в сложной обстановке, успешно решать задачи, которые и опытный профессионал не счел бы легкими.

...Слушатель IV курса Сосо Гегенава возвращался из увольнения. В автобусе, как всегда, было много народа, но его внимание привлекли двое парней, которые настойчиво пробивались сквозь плотные ряды пассажиров к женщине с черной сумкой.

Сосо был в гражданской одежде, поэтому ничем не привлекал внимания. Он постарался занять наиболее выгодную позицию, чтобы постоянно держать в поле зрения обоих парней. И вскоре отчетливо увидел, как один из них вытаскивает деньги из сумки, а другой старается отвлечь внимание женщины.

Несмотря на активное сопротивление, Сосо задержал обоих, а потерпевшая подтвердила, что изъятые у воров купюры принадлежат ей. С помощью граждан и подоспевших слушателей преступников доставили в РОВД Ленинского района. Ими оказались ранее судимые Т. А. и Д. Д.

Потерпевшая Кетеван Коява горячо поблагодарила нашего товарища С. Гегенава.

Задержать карманных воров с поличным, доставить их в ОВД вместе с потерпевшими и свидетелями — задача сложная. Но Сосо с ней справился отлично.

Л. СИЧИНАВА,
слушатель III курса.

## Оперативность — решающий фактор в работе

ОГРОМНУЮ роль в успешном решении многочисленных и ответственных задач, возлагаемых на сотрудников уголовного розыска, играет своевременный выезд на место преступления, изъятие вещественных доказательств, улик, с помощью которых можно восстановить картину преступления. Оперативность в выполнении этой задачи во многом определяет и перспективу раскрытия преступления. В полной мере отвечают этим требованиям сотрудники УВД г. Кутаиси оперуполномоченный УР лейтенант милиции З. Кордзадзе, водитель старший сержант милиции Э. Хурцилава и кинолог младший сержант милиции Э. Оиниани, которые запечатлены во время оперативного выезда.



საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით

# 70 წლის მფრინავ-გამანადგურებლის პოზიცია



1986 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ შს სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მოვლინებული იყვნენ სსრკ-ის გმირები, მფრინავები — შოთა შურღაია, გიორგი თვაური და ვლადიმერ ყურაშვილი. თითოეულ მათგანს დიდი ცხოვრებისეული და საბრძოლო გზა აქვს გავლილი. 2 იანვარს კი ბატონ ვლადიმერ ყურაშვილს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება.

რამდენიმე ცნობა ვ. ყურაშვილის ბიოგრაფიიდან: 14 წლის ობოლი ბიჭუნა შრომით საქმიანობაში ჩაება. ორჩევენ ქარხნის კომკავშირის მდივნად, აქვე ხდება მოწინავე სტახანოველი. 1938 წელს, მუშა ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ, გულმა აეროკლუბისაკენ გაუწია. გატაცებულია სპორტით — ფეხბურთით, კრივით. 1938 წელს მისმა საფეხბურთო გუნდმა „ტროფაიამ“ სსრკ თასი მოიპოვა. 1939 წელს სწავლა გააგრძელა პოლონეთის ქ. პახტავას ჩკალოვის სახელობის საფრენოსნო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1941 წლის მაისში. აქვე ენიჭება კრივში სპორტის ოსტატის წოდება. 1941 წელს ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ვ. ყურაშვილი საბრძოლო მწყობრშია. დიდი სამამულო ომის პერიოდში მის ანგარიშზეა 300 საბრძოლო გაფრენა. მან პირადად ჩამოაგდო მტრის ოთხი თვითმფრინავი და სამიც ჯგუფურად, განადგურებული აქვს მტრის ათობით საბრძოლო ობიექტი...

ომის შემდეგ, ვალმოხდილი, დაინვალიდებული დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს, სადაც კვლავ ჩაება მშვიდობიან შრომაში. ბატონი ვალიკო სხვადასხვა დროს იყო თბილისის რაიონული და რუსთავის საქალაქო პარტიული კონფერენციების დელეგატი, რაიკომის და ქალაქკომის წევრი, არჩეული იყო სახალხო მსაჯულად. წლების მანძილზე იყო საქართველოს „დოსაფის“ ავიაციის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ფრენის დარგში.

ამჟამად ბატონი ვალიკო არჩეული არის ომის ვეტერან ავიატორთა სექციის თავმჯდომარის მოადგილედ, თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრად, იგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის საავიაციო ტექნიკუმში თვითმფრინავების ციკლის უფროსად, სადაც თავის ცოდნას გადასცემდა ჩვენს ახალგაზრდობას. იმ დღესაც მ. წ. 26 დეკემბერს, როდესაც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მორიგ სხდომაზე შევხვდით ბატონ ვალიკოს, მივულოცეთ დამდეგი ახალი წელი და დაბადების დღე, მან საუბარი კვლავ ჩვენს ახალგაზრდობაზე წარმართა. კერძოდ აღნიშნა:

— **ჩვენ** ფაშისტური გერმანია და იაპონელი სამურაები დავამარცხეთ იმისთვის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი პირნათლად შეგვენარჩუნებინა. დღეს კი ჩვენთან ფართოდ გაშლილი საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში სამწუხაროდ თავი წამოყვეს უპასუხისმგებლო, თავაშვებულმა „ვაიპატრიოტებმა“ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ხელმძღვანელობით, რომლებმაც ისარგებლეს რა დემოკრატიის მონაპოვარით, მღვრიე წყალში ხელის ფათურით საკუთარი ჩანაფიქრების განსახორციელებლად თავგზას უბნევენ ახალგაზრდობის ერთ ნაწილს. მათ ნიჭს და ახალგაზრდულ ენერგიას მიუღებელი, შეიძლება ითქვას მახინჯი, არასწორი მიმართულებით წარმართავენ. სწორედ ამის დასტური გახლდათ 22-29 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე გამართული მჯდომარე დემონსტრაცია, შიმშილობა — რომელიც ვინ იცის სამომავლოდ კიდევ რამდენი იქ მყოფი ახალგაზრდის — ქალიშვილისა თუ ჭაბუკის ჯანმრთელობაში იჩენს თავს. ეს გახდა შემდგომ მიზეზი იმისა, რომ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები მამაშვილურად მიმართავდნენ ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომლებიც მოექცნენ ზემოთ დასახელებული პირების გავლენის ქვეშ, თხოვდნენ, რომ შეეწყვიტათ ეს უაზრო აქცია, რადგანაც საკითხი, რომელიც ვითომდა საფუძვლად დაუდეს დემონსტრაციას მისმა ხელმძღვანელებმა. პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო იმ სახით, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა ერთიან ნებასურვილს გამოხატავდა, მაგრამ ამდენი დღის დემონსტრაციის შედეგად ფიზიკურად უკვე დაავადების პირამდე მისული ახალგაზრდები ველარ უწევდნენ კონტროლს შექმნილ ვითარებას, ხოლო ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ არ შეაწყვეტინეს მოზარდებს ეს წამება, შიმშილობა.

როდესაც ვაანალიზებთ ამ აქციის შედეგებს, ნათლად ვლინდება ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელების, პირადად ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის მამაშვილური დამოკიდებულება და ზრუნვა ამ ახალგაზრდების მიმართ, რათა ეს აქცია ავადმოსაგონარ წარსულის ისტორიას არ დამსგავსებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს იმ დღეებში სამართალდამცავი ორგანოების, კერძოდ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დიდი ტაქტი და დაკვირვება, რომლებიც ახალგაზრდობის იმ ნაწილთან ერთად ათენებდნენ ღამეებს და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი პროვოკაცია.

იმ დღეების შემდეგ მცირეოდენმა ხანმა განვლო და ამ აქციის ხელმძღვანელები კვლავ შეეცადნენ რესპუბლიკის რიგ ქალაქებში მოეწყოთ არასანქციონირებული მიტინგები. „თავისუფალი საქართველოს“ ლოზუნგს ამოფარებულთ გამოეწვიათ არეულობა და უწესრიგობანი, მაგრამ როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბათუმში და ქუთაისში, ქალაქის მოსახლეობა არ აჰყვა ამ პროვოკაციას. ხალხმა გამოაძევა ქალაქიდან ამ მიტინგის მონაწილენი.

დღეს უკვე ახალგაზრდების იმ ნაწილისთვისაც კი, რომელიც მოექცა გამსახურდიას დროებითი გავლენის ქვეშ ნათელია მისი მოღვაწეობის პროვოკაციული ხასიათი — ლანძღვა ყოველივე იმისა, რაც კი მოუპოვებია ჩვენს თაობებს ამ 70 წლის მანძილზე — რევოლუციური პირველწლების აღმშენებლობა, ი. ბ. სტალინის მეთაურობით ფაშისტურ გერმანიაზე და იაპონიის სამურაებზე გამარჯვება. დღეს უდიდესი დემოკრატიისა და გარდაქმნის პროცესის დასაჩქარებლად აუცილებლად ერთად უნდა იყვნენ ჩვენი და დღევანდელი თაობა. ერთად წყვეტდნენ ჩვენი რესპუბლიკის, კავშირის წინაშე მდგარ პრობლემებს, რაც საქართველოს მომავალი სიძლიერის და უკეთესი მომავლის უტყუარი საწინდარია. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩემი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება, მშობელი ქვეყნის სიყვარული, ერთგულება და ამავე დროს ქართველი საზოგადოების აზრი.

ახლა კი ნება მომეცით მადლობა მოგახსენოთ 70 წლის მოლოცვისათვის და ამ საახალწლო დღეებში თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს დამდეგი 1989 წელი — ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, მშვიდობა, წარმატებები საპასუხისმგებლო საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

# მომავალი გამარჯვებების იმედით

**სარატოვში** პირველად ჩატარდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდური პირველობა ორჭიდში, რომელშიც შედიოდა უიარაღოდ თავდაცვა და ჭიდაობა სამბო. პირველობაში მონაწილეობდა 14 გუნდის 150-ზე მეტი სპორტსმენი. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. 57 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა შ. ტალახაძე (მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი), 62 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გ. ნაცვლიშვილმა (სახანძრო ნაწილი — 4). ექვსეულში მოხვდნენ: 82 კგ — ტ. შეთეკაური (სახანძრო ნაწილი-3), 86 კგ — ტ. არაბული (გურჯაანის შს რაიგანყოფილება), + 100 კგ — ი. ჯიჭოშვილი (სახანძრო ნაწილი — 2).

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს მილიციის კაპიტანმა გ. პაპუნაშვილმა და მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ერონოსიანმა. შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ლაგოდეხში ჩატარდა შეკრება. შემდეგ მოეწყო გუნდის მიღება შინაგან საქმეთა მინისტრთან, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორ შ. გორგოძესთან. მიღებაზე მინისტრმა ნაკრების წევრებს გადასცა სპორტული ფორმა. საკავშირო პირველობიდან დაბრუნებულ გუნდს ამ დღეებში კვლავ შეხვდება სამინისტროს ხელმძღვანელობა. ვფიქრობთ ასეთი ყურადღება მომავალი გამარჯვებების საწინდარი გახდება.

**ბ. თათეიშვილი**

* * *

**სურათზე:** შ. ტალახაძე (მარცხნივ) ასპარეზობისას.



კალეიდოსკოპი

## „ფასების რეფორმა“ პოლიციაში

**ტაილანდის** პოლიციის სამმართველომ ამ ბოლო დროს განა ახლა დასაჩუქრების პრეისკურანტი სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ყველაზე „სახელგანთქმული“ დამნაშავეების გაცემისათვის, ან მათ შესახებ რაიმე ინფორმაციის მოწოდებისათვის. როგორც ტაილანდის პოლიციის სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა პრიჩა კასესუვანმა განუცხადა ჟურნალისტებს პირველი ადგილი „ფასის მიხედვით“ უკავია ვინმე ლი მანს, წარმოშობით ჩინელს. იგი ათი წელია იმალება, მას სიკვდილით დასჯა მისაჯა, ტაილანდიდან რამდენიმე ათეული ტონა ნარკოტიკის გატანისათვის. შესაბამისად მისი „თავიც“ 600 ათას ბატად ანუ 13 ათას მანეთად არის შეფასებული.

მეორე ადგილი ამ „პრესტიჟულ“ სიაში უკავია ვინმე კხუნ სას, როგორც მას უწოდებენ „ოპიუმის მეფეს“. იგი თითქმის ოცდახუთი წელია სათავეში უდგას — მრავალათასიან ბანდას — ბირმა-ტაილანდის საზღვარზე და „ობიექტურადაც“ არის შეფასებული — ნახევარ მილიონ ბატად.

## ყალთაბანდები

**ჰოლანდიის** პოლიციამ დააპატიმრა დიდ აფიორაში გარეული 11 კაცი, რომელიც გამოავლინა დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის პოლიციამ ექვსი თვის გამოძიების დროს. დადგინდა, რომ ყალთაბანდთა ჯგუფმა ინგლისში, ბელგიასა და დასავლეთ გერმანიაში შექმნა მთელი რიგი ცრუმაგიერი კომპანიები, რომლებიც საქონლის დიდ პარტიებს ყიდულობდნენ ნისიად, მაგრამ შემდგომში „ავიწყდებოდათ“ ანგარიშის გასწორება, შემდეგ კი ამ საქონელს ევროპაში სარფიანად ჰყიდდნენ. მაგალითად, ერთმა ცრუმაგიერმა ფირმამ ინგლისში, ისლანდიაში, დანიასა და ბელგიაში შეიძინა სამი მილიონი დოლარის თევზი. მაგრამ შემდეგ ეს თანხა გამყიდველებისათვის არ გადაუხდია. სულ კი ყალთაბანდებმა ჩაიჯიბეს დაახლოებით 7,5 მილიონი დოლარი. ჯერჯერობით პოლიციამ შეძლო დაპატიმრებულთათვის ჩამოერთმია მხოლოდ რამდენიმე ლიმუზინი და ძვირფასი იახტა. როგორც ნიდერლანდის პოლიცია იუწყება, ამ დიდი საერთაშორისო აფიორის შედეგად გაკოტრდა სულ ცოტა ექვსი ევროპული კომპანია.

**წინასაახალწლო** დღეებში „მებრძოლი გუშაგის“ რედაქციას კვლავ ესტუმრა ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის უკვე ნაცნობი პიროვნება, ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების თანამშრომელი **სოლომონ ჩონიაძე** (რომელმაც 10 ნოემბერს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან თავისი ლექსით მოგვილოცა მილიციის დღე) და კვლავ თავისი ლექსი მოგვიტანა კეთილი საახალწლო სურვილებით...

ამ ლექსთან ერთად ძვირფასო მკითხველო მიიღეთ ჩვენი გაზეთის რედაქციის საახალწლო მილოცვაც.

## გილოცავთ ახალ წელს!

თქვენი მეკვლე ვინც იქნება
ბედნიერი ფეხით ევლოს,
თქვენს შვილებს და შვილიშვილებს
ჩემი თავი შემოევლოს.

თქვენს ოჯახში სულ ქორწილი
სულ ლხინი და გახარება,
თქვენთან ერთად მეც ახალწლის
ეს მილოცვა მახარებდა.

მეგობრებო, თქვენთან ერთად
ვინც შრომობს და გიდგათ გვერდით,
ყველას გლოცავთ წმინდა გულით
ბედნიერად დამიბერდით.

მრავალ ახალ წელს გისურვებთ
დაგელოცოთ ფუძე-კერი,
შვილთაშვილებს მოესწარით
თეთრი თმით და თეთრი წვერით.

მომავალ თაობაზე ზრუნვით



**ხალისიანად** ხვდებიან ახალ წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რომლებსაც ყველა პირობას უქმნიან აღმზრდელები (დირექტორი ქ. სეფაშვილი).

— ახლახან ჩვენს ბაღს 4 წელი შეუსრულდა, — გვეუბნება ლ. შერბინინა, — ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ჩვენი ხელით მოვაწყვეთ, მაღალ დონეზეა ბავშვთა კვება. სხვა ბაღებისგან იმითაც გამოვირჩევით, რომ გვაქვს ჩვენი საცურაო აუზი, სადაც თითოეული ჯგუფი კვირაში ორჯერ ვარჯიშობს.

**სურათზე:** საახალწლო ნაძვის ხესთან.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 99-1-41-24

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72

რედაქტორი ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00397